## ხელშეკრულება №13
## (გამარტივებული შესყიდვა)

სოფ.ხიდიკარი 18 . 05 2017წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრი მისამართი ქამბროლაური სოფ. ხიდიკარი(შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის გია გეწაძის სახით და მეორეს მხრივ ამხანაგობა ,,რაჭა" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილის გიორგი მურუსიძის სახით ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. შესყიდვის საგანი

1.1 შესყიდვის საგანია ა(ა) იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად. სტუმრების მიღება - მომსახურება CPV 79992000.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ლიტველი სტუმრების მიღება-მომსახურება.

### 3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 500 (ხუთასი ) ლარი.

### 4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები .

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 29 მაისამდე.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

### 7 .მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი, და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს საქონლის შეცვლა ან/და ზიანის ანაზღაურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
-გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
- საქონლის გადაცემის პარალერულად გამოწეროს და მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა.

### 8 .მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

### 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან..

9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017წლის 30 ივნისამდე.

## 12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თვითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეებს.

14.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მომწოდებელი: |
| --- | --- |
| თვითმმართველი თემი<br>ამბროლაურის კულტურის ცენტრი<br>ქ.ამბროლაური სოფ. ხიდიკარი<br>ტელეფონი 599 15 61 08<br>საიდენთიფიკაციო კოდი 422934873<br>სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22<br>ს/კ № 746653459<br>დირექტორი<br>გია გეწაძე | ამხანაგობა,,რაჭა"<br>ქ. ამბროლაური<br>ს/ს თიბისი ბანკის ამბროლაურის ფილიალი<br>ბ/კTBGBGE22<br>ა/ა №GE35TB7528036020100001<br>ს/კოდი 04001000574<br>დირექტორი;<br>გ. მურუსიძე / |